№ 100 მაისი 15, შაბათი 1893 მაისი 15, შაბათი № 100

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 მაისს.**

ამ ნომერში 10 გვერდია.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია შაბათს, 15 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, საღამოს 7 საათზე. განსახილველი საგნები:

1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის" მოქმედებისა 1892 წელსა.
2. მოხსენება სარევიზიო კომმისიისა 1892 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასავლისა 1893 წ.
4. სარედაქციო კომმისიის მოქმედების ანგარიში 1892 წ.
5. მოხსენება გამგეობისა შესახებ სტამბის გასაუმჯობესებლად მანქანებისა და სხვა მოწყობილობის შეძენისა.
6. მოხსენება გამგეობისა შესახებ შრიფტის ჩამოსასხმელ ქარხნის დაარსებისა.
7. განხილვა ამხანაგობის პირობის წერილის ზოგიერთა შესაცვლელ მუხლთა.
8. არჩევანი ამხანაგობის გამგესი, მმართველობის ორი წევრისა, ხაზინადარისა და მდივნისა.
9. არჩევანი სარედაქციო კომმისიის ხუთის წევრისა და სარევიზიო კომმისიის სამის წევრისა.

ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს წევრთ: 1) ვისაც ჰსურს კრებას წარუდგინოს განსახილველად რაიმე წინადადება, გამოუგზავნოს იგი გამგეობას მაისის ცამეტამდე; 2) ვისაც ყრილობაზე დასწრება არ შეუძლია, გამოუგზავნოს გამგეობას: ა) სია კანდიდატთა ზემოდ დასახელებულ თანამდებობაში ჩასაყენებლად და ბ) რწმუნების წერილი ქალაქში მცხოვრებ რომელსამე წევრის სახელზე.

არა წევრთ კრებაზე დასწრება აღეკრძალებათ. (3—3)

---

## ტფილისის ქალაქის მოურავისაგან

ამ მაისის 16-ს, კვირას, დილის 9 საათზე, სახელმწიფო თეატრში, ინჟენერების ქუჩაზედ, დანიშნულია კრება ქალაქის ამომრჩეველთა, რათა კენჭი ჩამოუტრონ იმ პირთა, რომელნიც დასახელებულნი არიან და არჩეულ უნდა იქმნან ხმოსნებად ოთხის წლით, 1893—1897.

ბ-ნთ ამომრჩეველთ ეუწყებათ, რომ კრება მაშინ დაიწყება, როცა 97 ამომრჩევი გამოცხადდება; ამომრჩევნი რიგით, კრებაზედ მისვლის კვალად, იქმნებიან მიწვეულნი ყუთებთან კენჭის მისაცემად.

რაგანაც ბილეთების მიცემა და, უმეტესად, განხილვა რწმუნებისა და აპეკუნობის ფურცლებისა კრების დროს საძნელო იქმნება, ამისათვის ბ-ნთ ამომრჩეველთ შეუძლიანთ წინადვე მიიღონ ქალაქის გამგეობისაგან ბილეთები კრებაზედ დასასწრებლად.

აგრეთვე ადგილობრივის გაზეთების რედაქციებსაც შეუძლიანთ თავის წარმომადგენელთათვის მიიღონ წინადვე ქალაქის გამგეობისაგან ბილეთები კრებაზე დასასწრებლად.

---

ტფილისი, 14 მაისი

ხვალ დანიშნულია არჩევანი ახალ ხმოსნებისა ჩვენის ქალაქის საბჭოსათვის. ქალაქი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სხვა-და-სხვა გუნდი ამომრჩევლებისა დიდს მოძრაობაში არის. თვითეული გუნდი სცდილობს თავისის მხრით ურჩიოს ამომრჩევლებს, ვინ ამოირჩიონ ხმოსნათ და ამისათვის შეუდგენიათ ხმოსანთა სიები.

სხვათა შორის შეუდგენია სია ქართველთა გუნდსაცა და ამ სიაში მოქცეულია გვარტომობის გაურჩევლად ყოველივე იგი—ქართველია, სომეხია თუ რუსი, — რომელიც ამ გუნდს უცვნია, რომ ქალაქისათვის გამოსადეგი კაცი იქნება გულით' გონებით და მეცადინეობით. ჩვენთვის მით არის სასიამოვნო ეს ქართველთა სია, რომ იგი სია ცხადად გვიმტკიცებს შემადგენელთა წმინდა სურვილს: ქალაქს პატრონად და მზრუნველად შეურჩიონ იმისთანა კაცები, რომელთა სიკეთე თავდებია, რომ ქალაქის საქმეს გულ-მოდგინედ და უანგაროდ მოეკიდებიან და ქალაქის კეთილ-დღეობისათვის არ დაიშურებენ გარჯას.

ამ გვარი კაცები, რა თქმა უნდა, მოიპოვება ყოველს ცალკე გვარტომში და სასიხარულო ის არის, რომ ქართველს გუნდს ყოველ ამათში უპოვნია ღირსეულნი კაცნი, სიაში მოუქცევია და დღეს ქალაქის კეთილის მსურველთ ურჩევს იმ სიაში მოხსენებულნი კაცნი შეგზავნონ ქალაქის საბჭოში. ამისთანა სია ქართველთა გუნდისა ცხადი საბუთია მისი, რომ ქართველნი არავითარს განსაკუთრებულს ინტერესს არ ეძებენ და მარტო ჰსურთ ქალაქს ჭეშმარიტი გულ-შემატკივარი და გულ-მოდგინე მოქალაქენი აუჩინონ პატრონად.

ეს სია ამტკიცებს ცხადად, რომ ქართველი გუნდი სამართლიან აზრს დასდგომია: ოღონდ კარგი მოქალაქე იყოს, შემძლებელი ქალაქს უერთგულოს და რიგიანად ემსახუროს, და ჩვენი სასურველი ამისთანა კაცები არიანო. ჩვენ კაცს კაცურის ღირსებით და უვარგისობით ვიწონებთ და ვიწუნებთ, და არა მით, რომ სომეხია, რუსია, თუ ქართველიო; ჩვენ ქალაქის გამოსადეგს კაცს ყოველ ამათში ვხედავთ და ჩვენ ჩვენის სიით გირჩევთ ამოირჩიოთო, თუ გსურთ ჩვენის დედა-ქალაქის შესაძლებელი კეთილდღეობა უპატრონოდ არ დასტოვოთო.

ამ ქართველთა გუნდის სიისა კარგი კიდევ ის არის, რომ მასში მოხსენებულნი არიან სომეხთა ყმაწვილკაცობის და ინტელიგენციის,—ჯერ არ ყოფილნი ხმოსნებათ,—წარმომადგენელნიც, რომელნიც ცნობილ არიან, როგორც ერთგულნი მოქალაქენი ჩვენის ქალაქისა და მისის სამსახურისათვის მზად მყოფნი*). ამათი შესვლა საბჭოში, ამათი ხმოსნებათ ყოფნა მეტად სასურველი უნდა იყოს ყოველ იმისათვის, ვისაც ხვალ ხელთ ექმნება არჩევანის კენჭი, და ვინც ქალაქის ავ-კარგიანობის ჭეშმარიტი გულ-შემატკივარია.

ამომრჩეველნო! ხვალინდელი დღე გიწვევთ თქვენ, რომ თქვენი მოქალაქური მოვალეობა გულ-წმინდად აასრულოთ. ხვალინდელ დღეს თქვენ უნდა აურჩიოთ თქვენს დედა-ქალაქს და მის კეთილ-დღეობას პატრონები, მზრუნველნი და გამძღოლნი ოთხის წლის ვადითა. ხვალინდელ დღეს თქვენი კენჭი გადასწყვეტს, ვის ანდობთ, ვის აბარებთ ოთხის წლით ჩვენის ქალაქის საქმეებს ერთობ და თქვენ საკუთარს სვე-ბედს ცალკე. ეს დიდი საქმეა, დიდი მოვალეობაა და ამიტომაც დიდი წინ-დახედულობა, დიდი სიფრთხილე დ განსჯა გმართებთ, ვიდრე თქვენი ხელი თქვენს კენჭს ან შავისაკენ გაისტუმრებს, ან თეთრისაკენ. თქვენი მოვალეობაა წინაშე ქალაქისა, თქვენის ოჯახისა, ცოლშვილისა ხვალ ერთიანად მიხვიდეთ არჩევანში და მარტო ხელით-კი არა, გულით და განსჯით სამართლიანად ამოქმედოთ თქვენი კენჭი. თქვენ, თუ გსურთ არ უღალატოთ თქვენს მოქალაქურ მოვალეობას, ღირსება და ვარგისობა კაცისა უნდა წაიმძღვაროთ, როცა კაცს ირჩევთ, და სხვა ყოველი უარჰყოთ, როგორც უკადრისი რამ.

ეს იცოდეთ, რომ ყველა პატიოსანი კაცი, ყველა კაცური კაცი თქვენი ერთგული მოძმეა და ამისთანანი მოიპოვებიან რუსებშიაც, სომხებშიაც და ქართველებშიაც. ამას გიმტკიცებთ სხვათა შორის ქართველთა გუნდის სია ხმოსნებათ ამოსარჩევებისა. თქვენი მოვალეობაა თქვენც უერთგულოთ ამისთანა კაცებს, რადგანაც წმინდა სურვილი ჩვენის დედა-ქალაქის კეთილად განწყობისა მარტო კარგ დ ერთგულ კაცების მოღვაწეობით შესაძლებელია განხორციელდეს.

*) ამისთანანი, ჩვენის ფიქრით, არიან შემდეგნი: ალ. მიხ. არღუთინსკი-დოლგორუკი, არ. სტეფ. ბუდღანოვ-ბალდასაროვი, ალ. აირაპ. ყალანთარი, მ. ზ. ქანანოვი, სტ. სერ. მალხასიანცი, არ. მათეს ძე თათევოსიანცი, იაკ. ივ. თათევოსიანცი, არ. ივ ტერ-გრიგორიანცი, ლევ. გერ. ელიაზაროვი, ფილ. იაკ. ვალთ აზარიანცი.

## წყალ-დიდობა ტფილისში 13 მაისს

აგერ ერთს კვირაზედ მეტია, რაც ტფილისში წვიმა მოდის; 10 მაისიდგან-კი 13 მაისამდე თითქმის სრულიად არ გადეღია. ეტყობა, წვიმა მოდიოდა აგრეთვე მთელ მტკვრის ხეობაზედ, გორისა, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში. ამ წვიმების გამო მტკვარმა ძლიერ იმატა, თითქმის 2 საჟენის სიმაღლეზედ აიწია, წალეკა მტკვრის დაბალი ნაპირები და ძლიერ დააზარალა ამ ადგილების მცხოვრებნი.

ვერის ხიდის ზემოდგან მტკვარმა მოიტაცა, რაც-კი ტივები იყო, და წაიღო. სწორედ საზარელი იყო მტკვარი ვერის ხიდთან, რიყეზედ და ავლაბრის ხიდებთან. ვერის ხიდის ზემოდგან ერთი ბაღი სრულიად გაოხრდა. ძლიერ დაზარალდა ვეტცელის ლუდის ქარხანა.

წყალ-დიდობა დაიწყო ღამის 12 საათზედ და დილის 11 საათამდე თანდათან ემატებოდა მტკვარს.

ადიდდა თუ არა წყალი, ეს ამბავი შეატყობინეს ბ-ნს პოლიცმეისტერს, რომელიც იმ წამსვე რიყეზედ გაჩნდა. აქვე შეგროვილნი იყვნენ: ჯარები, პოლიცია და ცეცხლის მქრობელი რაზმი. მაშინვე დაალვიძეს რიყის მცხოვრებნი და უბძანეს თავიანთ სახლებიდგან გამოსულიყვნენ. მალე მოვიდა ჟანდარმების ჯარი და წამსვე დესიმონოვის მოედანზედ გამართა ხიდი.

წყალს თანდათან ემატებოდა ა დილით წალეკა დესიმონოვის მოედანი, რიყის ვიწრო ქუჩები და დიდი ქუჩაც—ორ ალაგას რიყის ქუჩაზედ წყალი 4 არშინამდე იყო, დესიმონოვის მოედანზედ—6 არშინამდე. ქუჩებზედ სიარული შეუძლებელი შეიქმნა. ვერც ეტლით გაივლიდა კაცი, ვერც კონკით და ვერც ცხენით. მაღაზიებში, საწყობებში და დუქნებში საქონელი სრულიად დასველდა, ზოგი წყალმა წაიღო. რიყის მცხოვრებთა ავეჯი სულ ერთიანად წაიღო მტკვარმა. წაიღო დიდძალი თივა, სახლების სახურავები და სადაც-კი ხის შენობა იყო. დესიმონოვისა და წალეკილ ქუჩებში ორ-სართულიან სახლების ზემო სართულის მცხოვრებნი ხუთშაბათს მთელს დღეს მშიერნი იყვნენ. პურს ნავებით აწოდებდნენ. მრავალს ერთ სართულიანს სახლს წყალმა საძირკველი გამოაცალა და ჩამოანგრია. სრულიად შეუძლებელია ჯერ ჯეროვნით სთქვას კაცმა, რამდენი სახლი ჩამოიქცა, რამდენი საქონელი დაიღუპა.

რიყის გარდა სხვა ადგილებიც ძლიერ დააზარალა მტკვარმა. ვერაზედ ორი ბაღი ერთიანად წალეკა. ვერაზედვე ხუთი სახლი წალეკა. სატიველგან წყალმა 25 ტივი წაიღო, 8 ათას მანეთზედ მეტად ღირებული. აქვე ერთი ვიღაც კაცი დაირჩო. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ წალეკა „ვაზის" ბაღის ერთი ნაწილი. წაიღო სტოლები, სკამები, დიდძალი სასმელი. ბაღის პატრონს ბაქრაძეს 6,000 მანათამდე ზარალი მოუვიდა. საზაფხულო თეატრთან წყალმა მოგლიჯა საზაფხულო აბანოს მთელი შენობა. იქვე ვართანოვის სახლს მოჰგლიჯა აივანი. ნაბერენი ქუჩაზედ სულ ერთიანად წალეკა, რაც ხუროების ქარხნები იყო. მრავალი ხე-ტყე წყალმა წაიღო. მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთის ნაწილი ერთიანად ჩამოაქცია მტკვარმა. ქალაქის გამგეობამ გუშინ წინ მოშალა და წაიღო ამ კუნძულზედ გამართული სადეზინფექციო კამერა. ორბელიანის ქუჩაზედ წყალმა აავსო მტკვრის ნაპირზედ აშენებულ სახლების ქვემო დ შუა სართულები. ყასუმოვის კუნძულიდგან სულ არ გადარჩა 20-30 ოთხ-კუთხი საჟენი. დანარჩენი ადგილი სულ წყალმა ჩამოაქცია. პაპკოვის წისქვილიდამ წყალმა დიდძალი ბამბა წაიღო. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ გამართულ წისქვილებიდგან მტკვარმა წაიღო დიდძალი ფქვილი და ხორბალი. შადინოვისა და ზუბალოვის ქარვასლებში (ავლაბრის ხიდთან) წყალი შევარდა და დიდძალი საქონელი გაოხრა.

ადიდებულმა წყალმა სატივოზედ მოჰგლიჯა ტივი, რომელსაც ოთხი მეტივე აბამდნენ; მეტივეებმა ვეღარ მოასწრეს გადმოხტომა და მტკვარმა ჩამოატარა ისინი ტივიანათ. თუმცა ჰყვიროდნენ, გვიშველეთო, მაგრამ ვერავინ უშველა. ავლაბრის ხიდ ქვეშ ტივი დაშალა წყალმა და მეტივეებიც დაარჩო; გარდა ამისა მტკვარმა მოჰგლიჯა ვერის ხიდის ქვეშ ვიღაც ხუროს სახლი და მთლად წალეკა; მადათოვის კუნძულ იდგანაც მოჰგლიჯა საქალაქო მუშების ფარდული და წალეკა; წალეკულია აგრეთვე ორთაჭალა თავის ხიდით.

ორთაჭალაში მებაღეებმა დაიჭირეს ოთხი ორმოც ვედრიანი ბოჭკა სავსე ღვინით პატრონი არ აღმოჩენილა.

გუშინწინდელმა წყალმა ბევრი სარდაფები აავსო წყლით და ბევრს შენობას გამოაცალა საძირკველი. სხვათა შორის ზუბალაშვილის ქარვასლასაც, რომელიც არის ავლაბრის ზემო ხიდის პირში, გამოაცალა მთლად საძირკველი და გუშინ საღამოს 5 საათზედ ქარვასლის ნახევარი, დასავლეთის მხარე, ჩაწვა მტკვარში; დანარჩენი კედლებიც მორღვეულია და ყოველ წუთს ელიან იმის დანგრევასაცა. მე-8 ნაწილის პოლიციამ ეს ადრევე შეატყო ქარვასლას და გამოუცხადა მდგმურებს, მაგრამ რადგან ამ ქარვასლაში საქონელის საწყობი იყო და დიდძალი საქონელი ეწყო, პატრონმა დროზედ ვერ დასცალეს და ეხლა-კი თავში იცემენ. ამბობენ, ერთს თევზის საწყობის პატრონს ათასის თუმნის ზარალი მიუვიდაო.

აი, რა ზარალი მოიტანა კიდევ მტკვრის ადიდებამ: სახელმწიფო თეატრის ახლო აივანი ჩამოუქცია ვართანოვის სახლს, წაიღო საბანაო და საღამოს 9 საათზედ სულ დააქცია ზემოხსენებული სახლი ვართანოვისა. ამას გარდა დაანგრია თ. ივანე მუ-

ხრანსკის მიერ ახლხდ აგებული კედელი კუკიის პატარა ხიდ ქვემოდ.

ავლაბრისა და მეტეხის ხიდებზედ ჯარი იდგა და ხალხს არ უშვებდა ხიდზედ გაეარათ, რომ უბედურება არ მომხდარიყო. ორთაჭლის ბაღებიც ძლიერ დაზარალდა.

რიყეზედ ჩამოიქცა სახლი პოლკოვნიკის ალხაზოვისა. ამ სახლში მცხოვრებნი ძლივს გადაარჩინეს. მთელ რიყეზედ ქვემო სახლების ქვემო სართულიდგან ხალხი ზოგი გამოიყვანეს და ზოგიც ზემო სართულებში ავიდა. სახლის ავეჯის გადარჩენას აღარავინ დაეძებდა, ოღონდ ხალხი გადაერჩინათ. დილით მთელი რიყე წყალმა დაჰფარა. ზარ-დაცემული ხალხი იდგა სახლების სახურავებზედ და აივანზედ.

13 მაისის წინა ღამეს რიყეზედ მოვიდნენ ტფილისის გუბერნატორი და პოლიცმეისტერი, ქუჩებში ნავებით დადიოდნენ და ხალხს ურჩევდნენ, სახლს თავი დაანებეთ, ეცადეთ, თქვენ მაინც გადარჩეთო. ბევრი უარს ამბობდა ამაზედ: საცა სახლი და სარჩო-საბადებელი გვეღუპება, ჩვენც იქ დავიღუპნეთო.

მტკვარი თანდათან დიდდებოდა. ზოგიერთ ქუჩებში საშინელი ნიაღვარი მოდიოდა, მდინარეს ოდენა ერთმა ნიაღვარმა სულ ერთიანად წალეკა ზემელის ქარხანა, ვარანცოვის ხიდთან. დილით აუარებელი ხალხი შეგროვდა მტკვრის ორსავე ნაპირებზედ, მიხეილის ხიდთანა და იმ ადგილას, საცა ბორანი იყო. მიხეილის ხიდზედ ჟანდარმები იდგნენ და ხალხს არ უშვებდნენ.

წყალი ავლაბრის ხიდს უწევდა. ავლაბრის მორევი სწორედ საშიში სანახავი იყო. ქარვასლებში დიდ-ძალი შაქარი დასველდა. ვერის ხიდთან წყალმა მიაღწია ყორღანოვის წყლის მილამდე. რაც აქ შენობები იყო, ერთიანად წალეკა. წყალ-დიდობამ ძლიერ დააზარალა ავჭალის წყლის მილიც.

ადიდებული მტკვარი მოდიოდა ნაბერეჟნი ქუჩაზედ და სემიონოვის ვიწრო ქუჩამდე მიაღწია. ამბობენ რიყეზედ ბევრი წვრილი საქონელი დაიღუპაო. ხოლო ცხენები, ძროხები და სხვა სხვილი საქონელი პოლიციამ წინა ღამესვე წაიყვანა რიყიდგან.

ჯერ-ჯერობით არავინ იცის რიყეზედ კაცთაგანი დაირჩო ვინმე, თუ არა.

ტფილისის მეექვსე ნაწილში, საზამთროს მოედანზედ, წალეკა ქალაქისა და მუსულმანთა ფარდულები ხოლერიან ავადმყოფთათვის. ორთაჭლის ხიდი დილის 4 საათზედ მოგლიჯა. ასე რომ ვერც იქიდგან გამოვა ხალხი და ვერც აქედგან გადავა. რაც ბაღში ავეჯი რამ ჰქონდათ, ვეღარას ფრით ვერ გადურჩება წყალსა. ორთაჭლის ბაღები და შენობები სულ ერთიანად წყლით იყო დაფარული, ზოგიერთ ადგილებში 3 საჟენის სიმაღლეზედაა წყალი. ცხენები და სახედრები, რომლებითაც ორთაჭლის ბაღიდგან ხილი და მწვანილი მოჰქონდათ, მტკვარმა სულ დაღუპა. ზოგი მებაღე, ვინც ბაღიდგან გამოსვლა ვერ მოასწრო, მაღლა ხის წვერზედ ავიდა და ისე გადარჩა წყალში დარჩობას. ჰფიქრობენ, რომ აქ დაიღუპა ვინმეო.

მტკვრის მარცხენა მხარეს, ავლაბარში წაილეკა ქვემო ჭალის ბაღები და ბოსტნები.

ნიკოლოზისა და ავჭალის ქუჩაზე საშინელი ნიაღვარი მოვარდა; წყალი ბევრს სახლის სარდაფში ჩავიდა.

ტფილისის პირველ ნაწილში ნიაღვარმა წალეკა სახლები ხერხეულიძისა, ელ. ბერშენკოსი, სვიმონოვისა, ორბელიანისა, ჟურულისა და კიდევ რამდენიმე სხვა...

ზარალი დიდძალი უნდა იყოს. განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა რიყე და ორთაჭალა.

ასეთი დიდი წყალდიდობა ტფილისში არა ყოფილა 1881 წლის აქეთ.

გუშინ მტკვარმა 2 საჟენამდე იკლო კიდეც.

# ახალი ამბავი

*** ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად 1891 წელს 3 ნოემბერს დაარსებულ იქმნა ძმობა წმ. დავით აღმაშენებელის სახელობაზედ. ამ ძმობის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1892 წელს დახარჯულა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისთვის 844 მან. 87 კაპ. მომავალ წლისთვის ძმობას დარჩა კიდევ ნაღდი ფული 616 მან. 4 კაპ. ამ ფულიდგან, წესდების ძალით, ძმობის თანხას უნდა მოემატოს 331 მან. 20 კაპ. დანარჩენი 284 მ. 84 კ. მოხმარდება მომავალ წელს იმავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთ.

*** 13 მაის დილის მატარებლით ტფილისიდგან წაბრძანდა ხაშურს ტფილისის გუბერნატორი თ. შერვაშიძე.

*** მკითხველთ ეხსოებათ, რომ ამიერ-კავკასიის მთავარ-მართებელმა ხაზინიდგან გადასდო 22,000 მანათი კალიასთან საბრძოლველად. ამ ჟამად ტფილისის გუბერნატორის თხოვნით მთავარ-მართებელმა იმავე საგნისთვის გადასდო კიდევ 7,000 მანათი, ხოლო იმ პირობით, რომ მუშა ხალხს პურის ფული აღარ მიეცემათ და სასმელ-საჭმელი თვითონ უნდა მიიტანონ, ან თავის ფულით იყიდონ.

*** 13 მაისს ტფილისის სამოსწავლო კომიტეტმა გადასწყვიტა, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად დანიშნულ იქმნას ინჟ ნერ-ტეხნოლოგი ვ. თ. დანილოვი, ბაქოს სახელოსნო სკოლის ინსპექტორის თანა შემწეს მოადგილე, და ამის ნება-რთვასა სთხოვს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

*** 13 მაისს „ტფილისის საარტისტო საზოგადოების“ დარბაზში დანიშნული იყო გამოსაცდელი რეპეტიციები ქართულ თეატრის მოყვარულთათვის. წარმოდგენა ურიგო არ გამოდგა. ამიტომ დრამატიულ საზოგადოების გამგეთ განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში წარმოდგენა გამართონ, რომელშიაც მონაწილეობას მხოლოდ სცენის მოყვარულნი მიიღებენ.

*** სამშაბათს, 18 მაისს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს სხვა-და-სხვა სამეცნიერო მოხსენებას: ნ. ა. სახაროვისას, მ. ა. რეხტზამერისას, ა. მ. შეინ-ფოგელისას და გ. ვ. ურაზოვისას.

*** 12 მაისს ამიერ კავკასის რკინის გზის გამგეობას ჰქონდა რჩევა, თუ რამდენი ფული მიეცეს დაობლებულ ოჯახობას კაზუბსკისას და კისელიოვისას, რომელნიც ყაზიბეგმა დახოცა ქ. განჯაში. რჩევამ გადასწყვიტა, რომ ყოველ წლიური პენსია მიეცეთ კაზუბსკის ცოლშვილს 864 მ. და კისელიოვისას 720 მ.

*** ჩვენ მივიღეთ ბბ-ნთ მიქელოვისა და გველესიანისაგან ტფილისის ნოქართა შორის შეკრებილი 82 მან., რომელიც გადავეცით „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ალ. ხახანაშვილისაგან 15 მან., მოსკოვის ქართველთა შორის შეკრებილი, ჩვენის პოეტის ნ. ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად. ეს ფული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მ. შარაძის სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად ახალი წიგნი კალურიან გუნიასი „დრამები და კომედიები“, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებული იქმნება მისივე დრამა „და—ძმა“ და რამდენიმე ვოდევილი.

*** 12 მაისს ტფილისიდგან რუსეთს ფოსტა მიჰქონდათ. წილკანს ახლო ფოსტის ერთი ფურგუნი, რომელშიაც 72 ათასი მანათი იყო, ხევში გადავარდა. მეფურგუნე დ ფოსტალიონი გადარჩნენ.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ სოფელ საგარეჯოში სახადი გაჩნდაო. ამ სენით ავადმყოფი 7 კაცი უკვე მორჩენილა და ავად აღარავინ გამხდარა. მოხსენებული გვქონდა აგრედვე, რომ ყვავანახველით ავად გახდა 19 ბავშვიო; შვიდ მაისამდე კიდევ ავად გამხდარა 16 ბავშვი. 10 გარდაცვალა და ავად არის 25.

*** ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ამიერ-კავკასიას ესტუმრებიან საფრანგეთის მსწავლული მარიონი და დოქტორი გოვატი, გამგებელი ფილოქსერის საქმისა ვენგრიაში, იმ აზრით, რომ გაიცნონ, რა მდგომარეობაშია ფილოქსერიანი ვენახები ჩვენს ქვეყანაში. ამათთან ერთად დაათვალიერებენ ვენახებს კავკასიის საფილექსორო კომიტეტის წარმომადგენელნი, აკადემიკოსი კოვალევსკი და ენტომოლოგი პორჩინსკი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეს უბრძანებია, რომ შემდეგ ვენახების დათვალიერებისა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი შეიკრიბოსო, მიიწვიოს ზემოხსენებულნი მსწავლულნი, აგრედვე წარმომადგენელნი მანდაურ ვენახის პატრონთა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და საუფლისწულო მამულებისა. კრებამ უნდა გამოარკვიოს და გადასწყვიტოს, რა გზით უნდა ვებრძოლოთ ფილოქსერას ამიერ კავკასიაშიო. მაგავე კრებამ განიხილოს, რა მნიშვნელობა ექნება მანდ ამერიკის ვაზის გაშენებას და რა ვითარებაში და გარემოებაში შეიძლება ნება მიეცეთ მაგ ვაზის გაშენებისათვის, მთავრობის დაწესებულებათა გარდა, კერძო მამულის პატრონთაცაო. ამასთანავე კრებამ განიხილოს, ნება მიეცეს თუ არა ქუთაისის გუბერნიის მემამულეთ, დაიბარონ ხოლმე ხეხილი და სხვა ძვირფასი მცენარე იტალიისა აზიაში მდებარე ოსმალეთის იმ ადგილებიდამ, საცა ფილოქსერა ან სხვა ამისთანა სენი არ არსებობსო.

*** ფოთი: 8 მაისს აქ იყო კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი. მზრუნველმა დაათვალიერა აქაური ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი და მიიღო დეპუტაცია ქალაქის წარმომადგენელთა. როგორც ამბობენ, დეპუტაციამ სთხოვა ბ-ნს მზრუნველს, ქართული ენა ასწავლონ ამ სკოლაში ჩვენ შვილებს, რომელთაც ვაჭრობასა და აღებ-მიცემაში ძალიან სჭირდებათო.

*** უჯარა: 13 მაისს, ნაშუაღამევის სამს საათზე, დაეჯახა აქ ბათუმიდამ მომავალი მატარებელი ბაქოდგან მოსულს საქონლის მატარებელს. ბაქოდგან მოსულს ორი ორთქლ-მავალი ება. სამივე ორთქლ-მავალი შესამჩნევად დაზიანდა. 15 ვაგონი-ცისტერნი, ზოგი ნავთიანი დ ზოგი ცარიელი, სულ ლეუკმა-ლეუკმად იქცა. სიკვდილით არავინ მომკვდარა ამ უბედურობის დროს, ხოლო სუბუქად დაშავდნენ: კონდ. ეჯუევი, მემაშინეს თანაშემწე სემიონოვი, მემაშინე ნივალი და მორავსკი.

13 მაისსავე, ღამე, მოვიდა აქ ამბავი დეპეშით სადგურ მალიადგან, რომ მემაშინე კრონბერგი გადმოვარდა მატარებლიდამ და ორივე ფეხი მოსწყვიტა მას თვლებმაო.

*** კასპი: 13 მაისს, დღისით 12 საათიდგან, ადიდდა წყალი ლეხურა, რკინის გზის ხიდზე გადავიდა და რამდენიმე ვერსი წალეკა. საქონლის მატარებლები შეჩერებული იყო. სახალხო მატარებლის ვაგონები საღამოს 5 საათზე თვით ხალხმა გამოატარა, რადგანაც ორთქლ-მავალით წამოსვლა ეშინოდათ. საფოსტო მატარებელი ტფილისს 6 საათზე მოვიდა

*** ბაგდადი: 1 მაისიდამ დაიწყო სიარული პეტროვსკის ახალს რკინის გზაზედ სახალხო მატარებელმა. მატარებელი მიდის ხოლმე ბესლანის სადგურიდამ.

ბარის ოსეთის ზოგიერთს სოფელში ძრიელ მძვინვარებს ყვავილი და წითელა. სოფ. არიყში 85-მდე ყმაწვილი იმსხვერპლა ამ მოარულმა. წითელამ იმსხვერპლა ორ სამრევლოში ხიდიყუსსა და დალაგყავში 150-მდე ბავშვი.

აქეთ ძრიელ გრილი გაზაფხულია. კვლავ ამ დროს აქეთ გასათიბი ბალახი ყოფილა, წელს-კი ჯერ საქონელიც ძლივსა ძღება. ხეხილს ჯერ სრულიად არ დაუყვავილნია.

*** იქიდამვე: სოფ. ბათაყოში ქისტებმა მოჰკლეს ერთი მეცხვარე, რომელიც მინდორში ცხვარს თურმე აძოვებდა და წამოწოლილი იყო ნაბად-წამოსხმული და მხარზე თოფ-გადაგდებული. ცხენოსანი ქისტი დასწვდა მეცხვარეს და უნდოდა ნაბადი აეგლიჯა, მეცხვარემ თოფი გადულო. ქისტს შეეშინდა, მართლა არ მომკლასო, იძრო დამბაჩა, დაახალა და იქვე სული გააფთხობინა. მდევარმა მალე შეიპყრო ქისტი და გადასცა მაზრის უფროსს.

*** ზუგდიდიდგან სწერენ გაზეთ „Кавк.“, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით, 1893 წლის 1 ივნისიდგან ზუგდიდის პირველ დასაწყისი ორ კლასიანი სკოლა გადაკეთებულ იქმნება სამ-კლასიანად. ამ საქმისთვის საჭიროა 3,620 მანათი. 1,350 მანათს თვით ხაზინა კისრულობს, 2000 მანათი შეუწირავთ ზუგდიდისა და ანაკლიის მცხოვრებთ, ხოლო დანარჩენი 270 მანათი თვით სასწავლებელმა უნდა იკისროს.

*** 13 მაისს ბერძენთა სლაბოდკაში კაჩარავას სახლში ჰუსეინ იბრაჰიმ-ოღლის 11 წლის ბავშვი ხელში რევოლვერს ატრიალებდა. უეცრივ გავარდა და ტყვია მოხვდა მუცელში განჯის მცხოვრებლის შვილს 13 წლის ლევან კაჩარავას. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მოგვყავს კიდევ მოკლედ შინაარსი Старый думецъ-ის მეოთხე წერილისა ჩვენის ქალაქის თვითმმართველობის საქმეთა შესახებ. აი რასა სწერს ავტორი:

ეხლანდელს საბჭოს ქალაქისას უწინდელმა საბჭომ უანდერძა: ვალები, ნედოიმკები, საზოგადო შენობები და სამოქალაქო სასწავლებლები.

ვალი 1,638,000 მანეთამდეა; ორის სესხით 1,282,000 მანათი, ვალი ტფილისის პოლიციისა 140 ათასი მანათი, ვალი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებისა 75 ათასი მანათი, ვალი ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა 94 მანეთი; ვალი ოლქის საინტენდანტოსი 13 ათასი მანათი და კერძო კაცთა და დაწესებულებათა 34 ათასი მანათი; დიდის ხნის განმავლობაში გადადებულ 100 ათასი მანათიდგან, რომელიც დანიშნული იყო ტფილისის მომავალ უნივერსიტეტისთვის, ქალაქის გამსესხებელ კასის დასაარსებლად დაიხარჯა 54 ათასი მანათი და ტფილისის კრუჟოკში საცეკვაო ოთახის გასამართავად 33 ათასი მანათი. ამ გვარად, უნივერსიტეტის დაარსების საქმე ტფილისში სრულიად ჩაიშალა. ამ საგნისთვის დიდის ხნის განმავლობაში შეგროვილი ფული დაიხარჯა გამსესხებელ კასის დასაარსებლად და საცეკვაო ოთახის გასამართავად. მშვენიერებაა!..

ქალაქის სახელოსნო სკოლისთვის გადადებულ ფულიდგან კიდევ დახარჯეს კოლუბანსკის ვალის გასტუმრებაზე, დამფასებელ კომისიაზე და რაღაც სხვა საქმეებზედ 116 ათასი მანათი. ახლა ვკითხოთ, რომელ უფლების ძალითა ფლანგავდნენ სკოლისთვის გადადებულ ფულსა. სკოლაში-კი უფულობის გამო აბანო ვერ გაუმართავთ, რომ მოწაფეთ ტანი დაიბანონ.

დაუმატეთ ყველა ამას, რომ

1890 წელს დახარჯული იყო წინადვე 1891 წლის შემოსავლიდამ 44 ათასი მან., გარდა ამისა დროზედ ხარჯი ვერ შეკრიბეს და ნედოიმკად დარჩა 245 ათასი მანათი; დახედეთ ყველა ამ ამბავს და გაოცდებით ქალაქის ანგარიშის აწეწილ-დაწეწილ წარმოებითა.

1880 წელს, 5 თებერვალს ქალაქის მოურავმა მატინოვმა საბჭოს კრებაზედ ითხოვა, ნება მომეცით 750 ათასი მანეთი ვისესხეთო. ბ ნი მატინოვი დაჰპირდა საბჭოს, გაგიმართავთ მნაცაკანისა, მუხრანისა და ვერის ხიდებს, ავაგებ ქალაქის სახლსაო და სხვა-და-სხვა. ხიდები წელიწადში 35 ათას მანათს შემოგვიტანსო, ქალაქის სახლი 30 ათას მანათსა, და დანარჩენი შენობები—18 ათას მანათსაო. სულ 83 ათას მანათი შემოსავალი გვექნებაო. 60 ათასი მანათით ყოველ წლივ ვალს გავისტუმრებთ და 23 ათასი მანათი-კი ქალაქს წმინდა მოგებად დარჩებაო. მერე რა მოხდა? ფული ისესხეს, მნაცაკანისა და ვერის ხიდები გააკეთეს, ქალაქის ძველი სახლი განაახლეს და დანარჩენ შენობებისთვის-კი ფული არ დარჩა. წრევანდელ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ქალაქის სახლს 30 ათასი მანათის მაგიერად, რომელსაც მატინოვი დაგვპირდა, შემოუტანია სულ 13,300 მანათი და ხიდებს-კი, 35 ათასი მანათის მაგიე, რომელსაც მატინოვი გვპირდებოდა, შემოუტანია სულ 17,000 მანათი.

ამ გვარად პირველ სესხიდგან ქალაქმა არა თუ ვერაფერი სარგებლობა ნახა, პირ-იქით ყოველ წელიწადს 34,600 მანათსა ზარალობს.

სჩანს, მშვენიერას მოსაზრებით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენის ქალაქის პატრონები, როცა უარჰყვეს მუხრანის ხიდის გაკეთება, რომელიც ძლიერ იაფადაც დაჯდებოდა და ძლიერ სასარგებლოც იქნებოდა.

**

1886 წელს კიდევ ქალაქმა ისესხა 800 ათასი მანათი. ეს ფული მოახმარდა ავჭალის წყლის მილს. ამავე მილს შემდეგში კიდევ 300 ათასი მანათი ჩააყარეს. იქნება, შემდეგში, ამ მილმა ძლიერ დიდი სარგებლობა მოუტანოს ქალაქს, მაგრამ სამს საქციელს-კი ვერ ვაპატივებთ მილის გამომყვანელთ: ა) იმის მაგიერად, რომ საჭირო მაშინები და მასალა რუსეთის ქარხნებიდგან მოეტანათ, ბელგიაში გაემგზავრნენ ამ მასალებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფულის ფასი საზღვარ გარედ ძლიერ დაცემული იყო, 140 ათასი მანათი გადიხადეს დამოქნაში საჭირო მასალის გადმოსატანად. ბ) ყორღანოვის მილის გასაუქმებლად დახარჯეს 200 ათასი მანათი და გ) სრულებით არ შეუდგენიათ ანგარიში, რამდენი დახარჯულა მილის გამოყვანაზედ.

ამ გვარად ტფილისის მოქალაქე ვერასოდეს ვერ შეიტყობს ნამდვილად, რა დაუჯდა ქალაქს ავჭალას წყლის მილის გამოყვანა.

რაც შეეხება სკოლებს, ამაზედ ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება. ზევითა ვსთქვით, რომ სკოლებისთვის გადადებული ფული სხვა საქმეებს მოახმარესო. დავუმატებთ ამას, რომ აქამდე ქალაქის შვიდს სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს, თუმცა ამ საქმისთვის გადადებული იყო 30 ათასი მანათი, პირველ სესხიდგან. რა წესები სუფევს ქალაქის სკოლებსა და სახელოსნო სკოლაში, აშკარადა სჩანს სასწავლებლის კომიტეტის წევრის ბ ნ ცხვეთაძის მოხსენებიდგან, რომლის შესახებაც ბევრი რამ დაწერილა ტფილისის გაზეთებში. პირველ დასაწყისი სკოლები იმიტომ დაარსდა ქალაქში, რომ ამ სკოლებიდგან მოწაფენი გადასულიყვნენ სახელოსნო სკოლაში. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1886 წლიდგან 1889 წლამდე პირველ დასაწყის სკოლებიდგან ამ სკოლაში მიუღიათ 75 მოწაფე და ამათგან სკოლიდგან გამოსულან და სწავლა ვერ დაუმთავრებიათ 48 მოწაფეს. რა წესები სუფევს სახელოსნო სკოლაში, აშკარადა სჩანს სარევიზიო კომისიის მოხსენებიდგან. «ანგარიშის წიგნებიო, სწერია ამ მოხსენებაში, ისეთებია, რომ ვერავინ ვერასოდეს, რამდენსაც უნდა ეცადოს, ვერ გაიგებს ამ წიგნებიდგან, როგორ მიჰყავთ საქმე სკოლაშიო»

აი რა ყოფაში იყო ყველა ის საქმე, რომელიც გადმოსცა ახალს საბჭოს ძველმა საბჭომ და ახალს მოურავს ძველმა მოურავმა მატინოვმა.

ბ ნს მატინოვს, რასაკვირველია' შეუძლიან ოპოზიცია და ახალი საბჭო გაჰკიცხოს, მაგრამ ამაოდ ეცდება. დროა, შეიგნოს ბ-მა მატინოვმა, რომ 1891 წლიდგან შეუძლებელია იმ დროს დაბრუნება, როცა ადვილი იყო ობლების ფულების ფლანგვა და საზოგადო ფულიდგან მოურიდებლად ერთის მანათის მაგიერად 5 მანათის ფლანგვა.

Старый думецъ-ი ასე ათავებს თავის წერილს:

შემდეგ, იქნება, ვეცადო და გამოვარკვიო, რა კავშირია მატინოვის მიერ дворцовое номера-ში საბჭოს ოპოზიციას წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვასა და მის დუმილს შორის ტფილისის საკრედიტო საზოგადოების კრებაზე, იმ საზოგადოებისა, რომლის საქმეშიაც იძულებულ იქმნა თვით პროკურორი ჩარეულიყო.

### წერილი რედაქციის მიმართ *)

„ივერიის" № 99 დაბეჭდილია შენიშვნა, ვითომც მე სომხურის გაზეთის „მშაკის„ და „მურჩის მომხრეთა მონდობილობით წავსულიყო შაბათს ქართველების ხმოსნების კრებაში და იქ წარმედგინოს სომხას ახალგაზდების წინადადება შესახებ ნ.დ. ზუბალაშვილის, ნ.ზ. ცხვეთაძისა, ნ.ი. ნიკოლაძისა და.თ.ი.გ. ჭავჭავაძის სიიდან გამორიცხვისა. ეს ამბავი სიმართლეს სრულიად მოკლებულია. მე მხოლოდ კლუბის წინ შევხდი ხუთშაფათს, 6 მაისს, ნ.დ. ზუბალაშვილს, რომელმაც გამომკითხა სომხას ახალგაზდობის აზრი არჩევანების შესახებ. მეც მოვახსენე გარმოდ გამოთქმული აზრი სომხის გაზეთების „ტარაზასა" და „მურჩის" რედაქტორებისა. ამ ლაპარაკს დაესწრო თავად ბ ნი ცხვეთაძეც. შაფათს, 8 მაისს, შევიტყე, რომ ნ.დ. ზუბალაშვილს სწყენია ჩემ მიერ გადაცემული სიტყვები. რადგან მე ნ. დ. ზუბალაშვილის დიდი პატივისმცემელი ვარ, საკუთრივ მას სანახავად გავეშურე შაბათს ბანკში, სადაც ის მეგულებოდა, იმ განზრახვით, რომ საქმე გამომერკვია და ჩემზედ გულ-ნაკლულად არ დარჩენილ იყო. მართლაც ნ. დ. ზუბალაშვილი გულდატკენი დამიხვდა. მე აუხსენი რაშიდაც იყო საქმე და წამოვედი. ჩვენს ლაპარაკს დაესწრნენ ნ. ზ. ცხვეთაძე, ნ. არჯევანიძე და გ. გ. სარაჯიშვილი. რაიცა შეეხება იმ მოჭორებულს ამბავს, რომელიც „ივერიის" რეპორტერს შეუთხზავს, მეც რომ არა ვთქვა, ყველასათვის ცხადია, რა განზრახვითაც არის დაბეჭდილი; მაგრამ ამ ჩვენს ვითარებაში მყოფ კაცთათვის არა არის-რა გასაკვირველი. სტამბის საშუალებით ვისიმე პიროვნების შებღალვა-კი არა, ის უნდა გვიკვირდეს, თუ შენივე ძმა კაცი უგანიდამ არ მოგეპარა და ზურგში ხანჯალი არ დაგცა:

კარგი რამ გვჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

გ. წერეთელი

*) ამ საქმეში ვინ არის მართალი, ბ-ნი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი თუ „ივერიის" რედაქცია, ამის პასუხი თავის დროზედ იქმნება.

რედ.

# დეპეშა

12 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ, გრაფ იგნატიევის თავმჯდომარეობით, იყო დიდის გამოჩინებით კრება სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისა ამ საზოგადოების მოქმედების 25 წლის შესრულების გამო. სლავიანთა თვითოეულს ტომს თავისი წარმომადგენელი ჰყავნდა კრებაზე. მიღებულ იქმნა მილოცვის დეპეშები: ჩერნოგორიის მთავრისა და მის მემკვიდრისაგან, ჩერნოგორიისა და სერბიის მიტროპოლიტებისაგან და ბოსნიის მთავარ-ეპისკოპოზის შატროს მაიერისაგან.

Гражданинъ-ი სწერს, რომ სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების შეერთებულს კრებაზედ განხილულ და შეწყნარებულ იქმნა აზრი ფინანსთა მინისტრისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა მიღებულ იქმნას იმათ წინააღმდეგ, ვინც მანათიანის ფასის აწევ-დაწევისა და მომატება-დაკლებას სცდილობს ბირჟაზე საკუთარის სარგებლობისათვის; აგრეთვე ის აზრი, რომ ბირჟების საქმენი განწესიერებულ იქმნას და რომ ფინანსთა მინისტრს ნება ჰქონდეს რევიზია უყოს საბანკირო და საბირჟო—სამაკლერო დავთრებს.

**სევასტოპოლი.** დღეს 6 საათზე დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე გაემგზავრა ბათუმს ჯავშნიან ხომალდ Синопъ-ით. ამ ხომალდს თან გაჰყვა მთელი ესკადრა, რომლის გასვლის უმალ ზღვაში საფრანგეთის ხომალდის петрелъ-ის მეზღვაურნი დამწკრივდნენ მის ნაპირზე და იძახდნენ: Vive la Russie

12 მაისი

(გზაში დაგვიანებული)

**პეტერბურგი.** დამტკიცებულ იქმნა მოხსენება შინაგანსაქმეთა მინისტრისა, რომლის ძალითაც ევროპის რუსეთის ზოგიერთს ქალაქებში შემოღებულ უნდა იყოს უფრო მარტივი ქალაქის დებულება. ამ დღეებში სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს, რომლის ძალითაც შეცვლილ იქმნება ჩერნომორის-დუნაის სანაოსნო საზოგადოების წესდება.

**მოსკოვი.** მთელი მოსკოვი მორთულია ბაირაღებითა, მწვანე ხვეულებით, ხალიჩებით, ქსოვილებითა და ტრანსპარანტებით; ვაგზალიდგან დაწყობილი, სადაც მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი გაივლიან, ის ქუჩები მორთულია ხვეულებითა და ფერადის ფარნებით. კურსკის ვაგზალი მშვენივრად არის მორთული სხვა და სხვა ქსოვილებითა და ბაირაღებით; დარი კარგი დგას. მათი უდიდებულესობანი მიძინების ტაძარში ხუთშაბათს მიბრძანდებიან; ხოლო იმპერატორის ალექსანდრე II ძეგლის საძირვლის კურთხევა დანიშნულია პარასკევს.

13 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა შინაგან-საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი ზაიკა.

გაზეთი „Бирж. Вѣд." იუწყება, რომ ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორი ამ მოკლე ხანში გაემგზავრება სამხრეთისკენ და უნდა შეისწავლოს პურის ვაჭრობისა და შაქრის მოხარშვის საქმე.

**მოსკოვი.** გუშინ კურსკის ვაგზალზედ 5 საათზედ შეიკრიბნენ დიდნი მთავარნი და მოსკოვის ქალაქის წარმომადგენელნი. მათ იმპერატორებით უდიდებულესობის პატივსაცემლად იდგა საპატიო ყარაული ეკატერინოსლავსკის პოლკისა. 5 საათზედ ზარის რეკით ხალხს შეატყობინეს მობრძანება მათ უდიდებულესობათა. ვაგზალიდგან მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ და პატივი სცეს ივერიის ხატსა. კრემლში დაუხვდნენ მათ უდიდებულესობათ ყველა სასწავლებლის მოწაფენი და მათ უდიდებულესობათა სასახლის წინ—საპატიო ყარაული ასტრახნის პოლკისა. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ყარაული და ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. საღამოთი ქალაქი ისე იყო გაჩირაღდანებული როგორც მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დაგვირგვინების დღეს.

**ბუხარესტი.** დედოფალი ნატალია ბუხარესტს დაბრუნდა.

14 მაისი

**მოსკოვი.** გუშინ, ვიდრე მიძინების ტაძარში მიბრძანდებოდა, დიდის გამოჩინებით ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მიიღო პურ-მარილი ქალაქისაგან ვაჭართა, მოქალაქეთა და ხელოსანთა საზოგადოებათაგან, სტაროობრიადელების მიერ, მედროშეთა და წყალში დარჩობისაგან გადარჩენის საზოგადოების მიერ. მე-12 საათზე, დეპუტაციების მიღების შემდეგ, დაიწყო ზარების რეკვა. მათი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ Красное Крыльцо-ზედ. თან ახლდნენ: მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარინი, მინისტრნი და მაღალი ხარისხოვანი სამეფო კარის კაცნი. მათი უდიდებულესობანი, თავი დაუკრეს რა ერს, რომლითაც გავსებული იყო კრემლის მოედანი, გაემართნენ მიძინების ტაძარში, საცა მიეგება ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე და მაღალ-ხარისხოვანი სამღვდელოება. ყოვლად უსამღვდელოესმა ხელმწიფე იმპერატორს მოახსენა სიტყვა მისალმებისა. პარაკლისის გადახდის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ ხატებს. ლიტანია გაემართა ქვა-ფენილით, რომელზედაც გაშლილი იყო წითელი მაუდი, საცწაულთ მომქმედ-მონასტრისაკენ, რომლის კარის-ბჭეთაგან ხელმწიფემ კვლავ დაუკრა თავი ხალხს. პასუხად ამისა მოისმა ხმა-მაღალი „ურა". სასწაულთ-მომქმედ მონასტრიდამ მათი უდიდებულესობანი გაემართნენ ნიკოლოზის სასახლეში, საიდგანაც წაბრძანდნენ კრემლის დიდს სასახლეში. 2 საათზე მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი დაესწრნენ კაზაკოვის სახლის კურთხევას, რომელიც დანიშნულია სამხედრო წოდების შეუძლებელ თავად-აზნაურთა სამოწყალოდ. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ინახულეს მიტროპოლიტი. როცა პურ-მარილი მიართვა ქალაქის მოურავმა კ. ვ. რუკავიშნიკოვმა ასე მოახსენა: „მიიღე დიდო ხელმწიფევ, პურ-მარილი თქვენდა ერთგულ ქვეშევრდომის ქალაქის საბჭოსაგან; მიიღე ნიშანი ჩვენის გულ-წრფელის სიხარულისა, რომ გხედავთ შენ, ხელმწიფეო, ვხედავთ ჩვენს დედოფალსა და შენს სამეფო ოჯახს შენის ძველის მოსკოვის ზღუდეთა შორის"..

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციამ თავის პირველ კრებაზედ აირჩია პრეზიდენტად ალფრედ ვინდშიგრეცი, ხოლო შემდეგ დაიწყო არჩევა კომისიებისა. მლადოჩეხების დეპუტატები არც ერთს კომისიაში არ იქმნენ არჩეულნი. ამ გარემოების გამო დელეგატმა გეროლდმა დიდის აღელვებით წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, რომ ეს გამოკლება ჩვენი შეურაცხჰყოფს ერს, რომელმაც იმდენი მსხვერპლი შესწირა მონარქიას თუ ქონებითა და თუ სისხლის დაქცევით; შემდეგ ჰკითხა სამხედრო მინისტრს, ჩეხის ერიო, რომელსაც არ მიეცა უფლება კომისიების ბჰოდაში მონაწილეობის მიღებისა, განთავისუფლებული იქნება თუ არა ხარჯის ხდისაგან და სალდათების ძლევისაგანაო. ამაზე სამხედრო მინისტრმა მხრები შეიშმუშნა და ხელი მიიშვირა გერმანელ ლიბერალთა დასის დელეგატებზედ. პლენერმა უპასუხა, რომ მლადოჩეხები არ იქმნენ არჩეულნი კომისიებში იმ გარემოებათა გამო, რომელიც მოხდა ამას წინად ჩეხიის სეიმშიო; ასევე მოექცევიან, დასძინა მან, შემდეგშიაცაო. მლადოჩეხების დეპუტატებმა: გეროლდმა, მაზარიკმა და პაჩაკმა ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს. პაჩაკმა სთქვა, რომ ახლა გერმანელ-ლიბერალთა დასთან აღარავითარი მორიგება აღარ შეიძლება და ის-ღა დაგვრჩენია, რომ მახვილით ვებრძოლოთო. კრება გათავდა და წევრნი კრებისანი დაიშალნენ მეტის-მეტად აღელვებულნი.

გუშინ წარუდგინეს დელეგაციას

ბიუჯეტი მხედრობის გაძლიერებისათვის საჭირო ხარჯის მომატებისა. ეს ხარჯი სამ ნაწილად უნდა იქნას გადახდილი სამის წლის განმავლობაში.

**ლონდონი.** ტირნოვოდამ იუწყებიან: დიდმა საერო კრებამ შეიწყნარა აზრი კანონ-პროექტისა კონსტიტუციის შეცვლის შესახებ.

ჩიკაგოდგან იუწყებიან დეპეშით, რომ 17 სახელმწიფოს წარმომადგენელთ წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ იმ წესის შესახებ, რომლითაც უნდა დაჯილდოვება ექსპონენტებისა. მოწინააღმდეგეთა, მათ შორის არიან წარმომადგენელნი რუსეთისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, ავსტრიისა და ვენგრიისა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაურიგე-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,72 | 7¾ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა. . | 99⅜ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 97 |

## „ივერიის“ ფოსტა

**ა—ეხ. ი. გ—ს.** თქვენი ლექსი არაფრით არა ჰგავს ლექსს. ნუ გეწყინებათ-კი და ლექსების წერა სრულიად თქვენი საქმე არ არის. დაგვიჯერეთ: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან.

**არ. ჟიხეთელს.** თქვენი ლექსი „გურიის ცხოვრებიდამ“ არ დაიბეჭდება. ნეტავ ან თქვენ რად იწუხებდით თავს ამ ნაირის ვითომ და ლექსის წერით, ან ჩვენ რად გვაწუხებთ მის გადაკითხვით. ამას გარდა, თქვენს ლექსს იოტის ტოლაც არა სცხია-რა იმის ლექსებისა, რომლის გვარსა და სახელს აწერთ ბოლოში თქვენს წერილს. ზემოხსენებულს მოლექსეს ჩვენ კარგად ვიცნობთ და იმის დაწერილი ერთი სტრიქონიც არ ურევია თქვენ მიერ გამოგზავნილს ნაცოდვილარში. კარგის მოლექსე-მგოსნის სახელის დაჩემებითა და მითვისებით მაინც კარგი მოლექსე ვერ გახდებით.


# განცხადებანი




„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნებადართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

# პირველი კერძო სამკურნალო

## ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკი

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და სქესის

ი. ფ. პროცასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ფ. ქანანოვი, 12½—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 21 და 22 ივნისს ამა 1892 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შეუტანლობისათვის, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანთა სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 21—22 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ს საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 7 ივლისს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 21 ივნისს, სოფლის მამულებისა 22 ივნისს.

ძველის კატეგორიისა

**ქალაქის მამულები**

რომელთა გირაოს მიღებით გაცემულია სესხნი 1874 წლის 28 მაისის წესდების ძალით, არა ურთიერთის თავდებობით.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლივე ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟენი და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2295 მ. 48 კ. გარდ. 293 მ. 74 კ. სულ 2589 მ. 22 კ.

ტეხმინცევისა, აკოფ მიკირტიჩისძისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავლითა, ბაღით და ყოვლისვე მოწყობილებით, მიწა ზომით 370 ოთხ-კუთხ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2268 მ, 28 კ. გარდ. 187 მ. 20 კ. სულ 2455 მ. 48.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება. 6 ნაწილში, 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში, მოღნინისა და ბებუთოვის ქუჩაზე, № 21. თავნი ვალი 5788 მ. 68 კ. გარდ. 406 მ. 23 კ. სულ 6194 მ. 91 კ.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავში. თავნი ვალი 833 მ. 64 კ. გარდ. 102 მ. 12 კ. სულ 935 მ. 76 კ.

ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ეზოთი, მიწა ზომით 235 ოთხკუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში. თავნი ვალი 416 მ. 81 კ. გარდ. 70 მ. 56 კ. სულ 487 მ. 37 კ.

**ბ) სოფლის მამულები**

ძველის კატეგორიისა

რომელთა გირაოს მიღებით გაცემულია სესხნი 1874 წ. 28 მაისს წესდების ძალით, ურთი-ერთის თავდებობით.

ხიმშიევები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინა ბეჟანის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დესეტინა და 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ანტონის-ხევში. თავნი ვალი 3909 მ. 73 კ. გარდ. 185 მ. 89 კ. სულ 4095 მ. 62 კ.

ჭიჭინაძისა, სოფიო როსტომის ასულისა. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ტყე, მიწა ზომით 291 დეს. და 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფელ დიდ შავთას. თავნი ვალი 2606 მ. 24 კ. გარდ. 128 მ. 80 კ. სულ 2735 მ. 04 კ.

აბხაზი, გიორგი ალექსანდრეს ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები შენობები და ტყე ზომით 2867 დეს. 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრაში სოფ. სადახლოსა, ჩოჩქანსა, ქვემოცოფსა, თოხლიკილისა, არაბატალას, პ ლიან-თაქიანსა, გალიტალასა, ხუჯაბას, საძოვარი ადგილები ლიალვარს, ხუდიბანას, არაბატალასა და გულიბალას. თავნი ვალი 37,445 მ. 12 კ. გარდ. 1529 მ. 42 კ. სულ 38,974 მ. 54 კ.

კერესელიძე, ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2643 მ. 82 კ. გარდ. 167 მ. 01 კ. სულ 2810 მ. 83 კ.

ამილახვრები: ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული. სახნავი სასახლკარო მიწები, ზომით 33 დესეტინა და 320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გრაკალში. თავნი ვალი 1330 მ. 42 კ. გარდ. 82 69 კ. სულ 1413 მ. 11 კ.

ფალავანდიშვილი ივანე ანტონის ძე. სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 90 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ პატარა თამარაშენს, ქვათეთრასა, ოქონასა და ხიდის-უბანში. თავნი ვალი 1774 მ. 11 კ. გარდ. 86 მ. 50 კ. სულ 1860 მ. 61 კ.

ქობულოვები: იოსები, სოლომონი და ზაქარია ადამის ძენი. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფელ კონდოლში. თავნი ვალი 8869 მ. 54 კ. გარდ. 364 მ. 78 კ. სულ 9,234 მ. 32 კ.

თარხან-მოურავი დავით იორამის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესეტინა და 876 ოთ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში. ტფილისის და გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქს მუხაურს და სათირხნოში. თავნი ვალი 6208 მ. 03 კ. გარდ. 280 მ. 05 კ. სულ 6,488 მ. 08 კ.

კალატოზოვი ვასილი აბელის ძე. სახნავი მიწები, ზომით 37 დესეტ. და 1200 ოთ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში. თავნი ვალი 1330 მ. 42 კ. გარდ. 73 მ. 29. კ. სულ 1403 მ. 71 კ.

ვაჩნაძე იოსებ რევაზის ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ. ბარემკალას. თავნი ვალი 2660 მ. 86 კ. გარდ. 139 მ. 42 კ. სულ 2800 კ. 28 კ.

ვახვახიშვილისა ეკატერინე გიორგის ასული. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 308 დესეტინა, 555 ოთხკუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 2660 მ. 86 კ. გარდ. 174 მ. 96 კ. სულ 2835 მ. 82 კ.

ბარნაბიშვილი, ანასტასია სოლომონის ასული, სახნავი მიწები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 442 მ. 85 კ. გარდ. 47 მ. 92 კ. სულ 490 მ. 77 კ.

ქარუმიძე, ივანე პაატას ძე: სახნავ-სათესი მიწები, ზომით 34 დეს. 1320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორტიზაში. თავნი ვალი 886 მ. 98 კ. გარდ. 80 მ. 62 კ. სულ 967 მ. 60 კ.

თარხან-მოურავი, ლუკა ესტატეს ძე: სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები, ტყე და ბაღი, მიწა ზომით 269 დეს. 1325 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, აგარაკები მუხაურს, ზემო-ხაანდაკს და ახალციხეს. თავნი ვალი 7319 მ. 91 კ. გარდ. 332 მ. 98 კ. სულ 7652 მ. 89 კ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი ივან კონსტანტინეს ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 660 დესეტინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოტკოში. თავნი ვალი 10,778 მ. 70 კ. გარდ. 484 მ. სულ 11,262 მ. 70 კ.

აღა რაჰიმ-ჰაჯი-იბრაჰიმ-ზეინალოღლი და სხვანი. სახნავი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტინა და 940 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ბორჩალოს განყოფილებაში, სოფელ ყიროხლოს. თავნი ვალი 5389 მ. 38 კ. გარდ. 245 მ. 50 კ. სულ 5634 მ. 88 კ.

პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს ძე, სახნავი, საბალახე, საბოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფელ ოქროყანას. თავნი ვალი 6420 მ. 98 კ. გარდ. 327 მ. 44 კ. სულ 6748 მ. 42 კ.

ჯომარჯიძე, თომა იაკობის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით,